ინდივიდუალური მეწარმე <<გ. ზარნაძე>>

№ 27 19.12 .2013 წ.

დასკვნა

ქ. თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, შპს "ვარსკვლავი"-სა და შპს "ედელვაისი"-ს მიმდებარედ /ქ.თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია/ ქ.თბილისი შპს "ვარკეთილი-96"ის მიმდებარედ, ნაკვ.(24/21) არსებული კომერციული დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

შენობა გეგმაში სწორკუთხაა და წარმოადგენს ორსართულიან კარკასულ ნაგებობას. რომლის გვერდით ფასადზე განთავსებულია ღია ტიპის კიბის მარში, რომელიც მეორე სართულს უკავშირდება. შენობის გადახურვა ორქანობიანია იგი აშენებულია 90-იანი წლებში. შენობის კარკასული კონსტრუქცია წარმოადგენს რკინა-ბეტონის რიგელებს, სვეტებს, ხის კოჭოვანი გადახურვის სისტემას და გააჩნია სილიკატური აგურის წყობის კედლები. საკუთრივ შენობა კარგ მდგომარეობაშია, ვიზუალური დათვალიერებისას მთელ შენობაზე არსად გამოვლენილა რაიმე მეტნაკლებად შესამჩნევი ბზარები და დეფორმაციები. კარგ მდგომარეობაშია კარკასისა და კედლის წყობა. ჩვენი ამოცანაა აღნიშნულ ფართს ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია, კერძოდ მოიხსნას გადახურვა, მეორე სართულის (ნაწილობრივ) გარე და შიდა კედლები. გაძლიერდეს არსებული პირველი სართულის საყრდენი კედლები და მოეწყოს დამატებით მონოლითური კოლონები 3-4 და ა-გ ღერძის სისტემაზე. არსებული ღია კიბის ნაცვლად 1-2 ღერძების გასწვრივ მოეწყოს საყრდენი რკინა-ბეტონის ბალიში (წვრილხრეშოვანი ღორღით შემავსებელი) რაზეც მოეწყობა არმირებული კოლონების სისტემა. მეორე სართულის იატაკი მოეწყოს არმირებული ფილით. შეიკვრება კოლონებისა და რიგელების სისტემა აღნიშნული ღონისძიებები გააერთიანებს შენობის კონსტრუქციულ ერთიანობას. 6.30 ნიშნულზე მოეწყობა ტერასა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება პროექტის რეკომენდაციის შესაბამისად სრულიად არ გამოწვევს არსებული კარკასული სტრუქტურის დარღვევას ან მისი მზიდუნარიანობის შესუსტებას, თუ კი ზემოაღნუშნული სამუშაოები ჩატარდება ხელით, მცირე მექანიზმების გამოყენებით.

ინჟინერ-კონსტრუქტორი გ. ზარნაძე

დანართი:

1. ფოტომასალა, არსებული მდგომარეობა და პერსპექტიული რუკადერი;

2. არქიტექტურული ნახაზები, სართულების გეგმები და ჭრილი.

ნუცუბიძის 0V მ.რაიონი კორ. 108 ბ.39 ტელ.: 599-157-882 / 215-128